EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

ს.პ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 36463/11, 11235/13, 35817/13 და სხვ.)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის საკასაციო სასამართლოს

თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

2 მაისი, 2023 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ს.პ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ
36463/11, 11235/13, 35817/13 და სხვ.

გადაწყვეტილება
2.5.2023 [სექცია III]

მუხლი 3

დამამცირებელი მოპყრობა

არაადამიანური მოპყრობა

პოზიტიური ვალდებულებები

პატიმართა სეგრეგაცია, დამცირება და შეურაცხყოფა თანაპატიმრების მიერ, პატიმართა არაფორმალურ იერარქიაში არასრულფასოვანი სტატუსის გამო, რომელიც დაშვებული იყო ციხის თანამშრომლების მიერ; სახელმწიფოს სისტემური მოქმედების ნაკლებობა: *დარღვევა*

ფაქტობრივი გარემოებები

ყველა განმცხადებელი სასჯელს იხდიდა რუსეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რომლებიც უჩიოდნენ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას მათი დაქვემდებარებული სტატუსის გამო, როგორც „განდევნილი“ პატიმრები პატიმართა არაოფიციალურ იერარქიაში. მათ შეიტანეს საჩივრები აღნიშნული მოპყრობის შესახებ ადგილობრივ ორგანოებში, თუმცა ამაოდ.

სამართლებრივი შეფასება

წინარე საკითხი - ვინაიდან კონვენციის სავარაუდო დარღვევის გამომწვევი ფაქტები მოხდა 2022 წლის 16 სექტემბრამდე, იმ თარიღამდე, ვიდრე რუსეთის ფედერაცია შეწყვეტდა კონვენციის ხელმომწერ მხარედ ყოფნას, სასამართლოს ჰქონდა განცხადების განხილვის იურისდიქცია.

მუხლი 3:

(ა) ფაქტების დადგენა

პატიმართა იერარქიის არაფორმალური ბუნება, რომელიც დაკავშირებული იყო ქცევის ფესვგადგმულ სქემასთან, კერძოდ შეურაცხყოფასა და რიტუალურ და სიმბოლურად დამამცირებელ მოპყრობასთან, რომელიც განხორციელდა სხვა პატიმრების მიერ „განდევნილი“ პატიმრების მიმართ, ამ საკითხს სასამართლო განხილვისთვის არსებითად რთულ საკითხად აქცევდა. ამიტომ სასამართლოს უნდა განეხილა განმცხადებლების საჩივრები მათ მიერ მოწოდებული სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ყველა ინფორმაციის,

მათ შორის ოფიციალური მოხსენებებისა და აკადემიური კვლევების გათვალისწინებით, რათა დაედგინა მათი ბრალდებების სარწმუნოობა.

განმცხადებლებმა, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა შორეულ ადგილებში იხდიდნენ სასჯელს, წარადგინეს მსგავსი ანგარიშები იმ ძალადობის შესახებ, რომლებიც მათ განიცადეს; მათ შორის დეტალური ანგარიშები იმ მოვლენების შესახებ, რომლებმაც განაპირობა მათი კლასიფიკაცია „განდევნილ“ პატიმრებად. საკუთარი მოთხოვნების გასამყარებლად, მათ ასევე წარადგინეს მტკიცებულებები. უფრო მეტიც, აკადემიურმა კვლევამ და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) შესაბამისმა მოხსენებამ სარწმუნოობა შესძინა მათ განცხადებებს. გარდა ამისა, როგორც საჯარო მონიტორინგის ორგანიზაციების სხვადასხვა ანგარიშებიდან გაირკვა, ასევე არსებობდა საკმარისად ძლიერი მაჩვენებლები იმის თაობაზე, რომ ადგილობრივმა უფლებამოსილმა ორგანოებმა იცოდა არაფორმალური იერარქიის შესახებ. კერძოდ, ცხადი იყო, რომ როგორც სხვა პატიმრებმა, ისე ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ განმცხადებლების „განდევნილის“ სტატუსის შესახებ, ზოგიერთი მათგანი მოთავსებული იყო სპეციალურ დანაყოფებში, რომლებიც განკუთვნილი იყო ექსკლუზიურად „განდევნილი“ პატიმრებისთვის. გარდა ამისა, მთავრობა არ ყოფილა ჩართული განმცხადებლების დეტალური არგუმენტების განხილვაში და არ წარმოუდგენია მოვლენების ალტერნატიული აღწერა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლები თანაპატიმრების მხრიდან დაექვემდებარნენ იმ მოპყრობას, რის თაობაზეც მათ განაცხადეს, მათი სტატუსის გამო პატიმართა არაფორმალურ იერარქიაში.

(ბ) მიაღწია თუ არა მოპყრობამ, რომელსაც განმცხადებლები დაექვემდებარნენ, მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს

მიუხედავად იმისა, რომ ყველა განმცხადებელი არ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას „განდევნილი“ პატიმრის სტატუსთან დაკავშირებით, ორმა განიცადა ფიზიკური თავდასხმა, ხოლო მეორე იძულებული გახდა სექსუალური მომსახურება გაეწია „კრიმინალური ელიტის“ წევრისთვის. გარდა ამისა, ფსიქიკური ტანჯვისა და არასათანადო მოპყრობის შიშის პირობებში ცხოვრება, განმცხადებლების, როგორც „განდევნილი“ პატიმრების, გამოცდილების განუყოფელი ნაწილი იყო.

დამამცირებელი მოპყრობის კიდევ ერთი მაჩვენებელი გამოიხატა თვითნებურ შეზღუდვებსა და ჩამორთმევაში, რომლებსაც განმცხადებლები განიცდიდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათ საერთო საცხოვრებელსა და სასადილოში ყველაზე ნაკლებად კომფორტული ადგილები ეთმობოდათ და დასჯის მუქარის საფუძველზე ეკრძალებოდათ სხვა ადგილების გამოყენება. მათი წვდომა ციხის რესურსებზე, მათ შორის საშხაპეებსა და სამედიცინო დახმარებაზე, შეზღუდული ან გამორიცხული იყო და მათ ასევე ეკრძალებოდათ სხვა პატიმრებთან სიახლოვე, რომ აღარაფერი ვთქვათ შეხებაზე, იმ მუქარით, რომ ეს ადამიანი გახდებოდა „დაბინძურებული“. ადამიანებთან კონტაქტის უარყოფა იყო დეჰუმანიზებული პრაქტიკა, რომელიც აძლიერებდა აზრს, რომ გარკვეული ადამიანები არიან დაქვემდებარებულნი და არ იმსახურებენ თანაბარ მოპყრობასა და პატივისცემას. აღნიშნულის შედეგად მიღებულ სოციალურ იზოლაციასა და „განდევნილი“ განმცხადებლების მარგინალიზაციას სერიოზული ფსიქოლოგიური შედეგები უნდა გამოეწვია. გარდა ამისა, სამუშაო მოვალეობების სტატუსის საფუძველზე განაწილებამ, სადაც „განდევნილი“ განმცხადებლები იძულებულნი იყვნენ შეესრულებინათ სამუშაოები და საქმიანობები, რომლებიც მიჩნეული

იყო „ბინძურად“ ან სხვა პატიმრებისთვის მიუღებლად (როგორიცაა საპირფარეშოების ან საშხაპე კაბინების დასუფთავება), კიდევ უფრო ამცირებდა მათ და სამუდამოდ უმკვიდრებდა არასრულფასოვნების გრძნობას. სამუშაოს სტატუსზე დაფუძნებული განაწილება ემსახურებოდა „განდევნილი“ განმცხადებლების განცალკევებას - ფიზიკურ და სიმბოლურ დონეზე - და მათი არასრულფასოვნებისა და უძლურების განცდის გაძლიერებას მათ დაბალ სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის მუდმივობის გამო. სტიგმის მდგრადმა ბუნებამ დაუკარგა გაუმჯობესების ყოველგვარი პერსპექტივა „განდევნილ“ განმცხადებლებს, თუნდაც ხანგრძლივი პატიმრობის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგაც.

ზემოაღნიშნულის ფონზე, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების სტიგმატიზაციამ და ფიზიკურმა და სოციალურმა სეგრეგაციამ, ამასთან ერთად დავალებულმა მონურმა შრომამ და ისეთ ძირითად საჭიროებებზე უარის თქმამ, როგორიცაა საწოლი, ჰიგიენა და სამედიცინო დახმარება, ძალადობის მუქარით და ასევე ზოგჯერ ფიზიკური და სექსუალური ძალადობით, ისინი მიიყვანა ფსიქიკურ შფოთვამდე და ფიზიკურ ტანჯვამდე, რომელიც უნდა აღემატებოდეს პატიმრობისათვის თანდაყოლილი ტანჯვის გარდაუვალ დონეს, მაშინაც კი, თუ ყველა განმცხადებელი არ ყოფილა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ის მდგომარეობა, რომელიც განმცხადებლებმა წლების განმავლობაში გადაიტანეს „განდევნილი“ პატიმრების ჯგუფში განთავსების გამო, კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას წარმოადგენდა.

(გ) სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას განმცხადებლები არასათანადო მოპყრობისაგან

პატიმართა არაფორმალური იერარქიის ფენომენი ფართოდ გავრცელებული და ცნობილი პრობლემა იყო რუსეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ციხის თანამშრომლებს და ზოგადად, ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა მისი არსებობის და მასში განმცხადებლების სტატუსის შესახებ. ამიტომ შეუძლებელი იყო არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის რისკების იგნორირება, რომელსაც განმცხადებლები ყოველდღიურად აწყდებოდნენ პატიმრობის ვადის განმავლობაში. ამიტომ, მთავრობას ევალებოდა აეხსნა, თუ რა ზომები იქნა მიღებული განმცხადებლების დაუცველობის აღმოსაფხვრელად.

ციხის პერსონალს არ გამოუყენებია რაიმე უსაფრთხოების ან მეთვალყურეობის კონკრეტული და სწრაფი ზომები განმცხადებლებზე ქცევის არაფორმალური კოდექსის აღსაკვეთად, არ განხილულა, თუ როგორ შეიძლებოდა მათი დაცვა შეურაცხყოფისა და შევიწროებისგან, არც შეუმუშავებიათ სათანადო კლასიფიკაციის პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა სკრინინგს ვიქტიმიზაციისა და ძალადობის რისკის დასადგენად. გარდა ამისა, არ არსებობდა მაჩვენებელი, რომ ციხის თანამშრომლებს ჰქონდათ დასჯის სტანდარტიზებული პოლიტიკა იმ პატიმრებისთვის, რომლებიც ძალადობდნენ სხვებზე ქცევის არაფორმალური კოდექსის აღსრულების მიზნით. ასეთი პოლიტიკის არარსებობამ აჩვენა, რომ ციხეში ძალადობა არ იქნა მიღებული საკმარისად სერიოზულად და რომ ციხის თანამშრომლები მზად იყვნენ პატიმრებს დაუსჯელად ემოქმედათ სხვა პატიმართა უფლებების საზიანოდ. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნდა სამოქმედო გეგმა პრობლემის სტრუქტურულ დონეზე გადასაჭრელად და ვერ იქნა მითითებული რაიმე ეფექტური შიდასამართლებრივი საშუალება, რომელიც შესთავაზებდა კომპენსაციას დაზარალებულ განმცხადებლებს.

პრობლემის სტრუქტურული ბუნების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ღონისძიებები ვერ გადაწყვეტდა განმცხადებლების საჩივრების ძირითად პრობლემას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „განდევნილი“ განმცხადებლების საჩივრები სათანადოდ იქნებოდა გამოძიებული და ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ინციდენტები დაისჯებოდა, ეს არ შეცვლიდა ძალაუფლების სტრუქტურას, რომელიც ემყარებოდა პატიმართა არაფორმალურ იერარქიას ან მასში განმცხადებლების დაქვემდებარებულ ადგილს. სხვა დაწესებულებაში გადაყვანა ვერაფერს შეცვლიდა განმცხადებლებთან დაკავშირებული სტიგმის აღმოსაფხვრელად, ვიდრე ისინი რჩებოდნენ ქცევის არაფორმალური კოდექსით რეგულირებულ დაწესებულებებში. ანალოგიურად, „უსაფრთხო ადგილას“ განთავსების შესაძლებლობა, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, დროებითი ღონისძიება იყო.

ზოგიერთი განმცხადებელი ცდილობდა, გაეუმჯობესებინა საკუთარი მდგომარეობა სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის რეგიონალურ განყოფილებებში, ომბუდსმენსა და უშიშროების ფედერალურ სამსახურში საჩივრების შეტანის გზით, მაგრამ ყველა მათგანი მოკლედ იქნა უარყოფილი მომჩივნების მოსმენისა და დამატებითი მტკიცებულებების შეგროვების გარეშე. ომბუდსმენმა აღიარა, რომ მსგავს საჩივრებს არ ჰქონდა რაიმე წარმატების პერსპექტივა. რაც შეეხება სისტემური სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, აუხსნელი იყო, რომ სასჯელაღსრულების სისტემის განვითარების კონცეპტუალურ ჩარჩოებში პატიმართა არაფორმალური იერარქია არც კი იყო იდენტიფიცირებული, როგორც პრობლემა - რაც ციხის ხელმძღვანელობის ყურადღებას მოითხოვდა. შესაბამისად, ხელისუფლებამ არ გადადგა ნაბიჯები განმცხადებლების დასაცავად არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან, რაც უკავშირდებოდა მათი, როგორც „განდევნილი“ პატიმრების სტატუსს. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლებას იმჟამად არ გააჩნდა ეფექტური მექანიზმები განმცხადებლების ინდივიდუალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ან სამოქმედო გეგმა ამ საკითხის ყოვლისმომცველად მოსაგვარებლად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთავრობის მიერ წამოყენებული პროტესტი შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის არარსებობის თაობაზე, ვინაიდან განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები არ არსებობდა და რომ ხელისუფლებამ არ განახორციელა რაიმე ქმედება პრობლემის სისტემური გზით გადასაჭრელად.

ამრიგად, განმცხადებლები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ „განდევნილი“ პატიმრების განსაკუთრებით დაუცველ კატეგორიას, პატიმრობაში ყოფნისას განიცდიდნენ სეგრეგაციას, დამამცირებელ მოპყრობას და შეურაცხყოფას ყოველდღიურ ცხოვრებაში და იმყოფებოდნენ პატიმრებისგან ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ. წლების განმავლობაში ექვემდებარებოდნენ რა ამგვარ მოპყრობას, აღნიშნული უტოლდებოდა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ მომჩივნების დაუცველი მდგომარეობის შესახებ, რაც უფრო მეტიც, სისტემური და ფართოდ გავრცელებული სქემის ნაწილი იყო. თუმცა, ადგილობრივ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია ამ პრობლემის აღიარებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მის გადაჭრაზე, და არ მიუღია ზოგადი ან ინდივიდუალური ზომები მომჩივნების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან უმოქმედობა, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თანამონაწილეობა იმ ძალადობაში, რომელიც განხორციელდა მათი დაცვის ქვეშ მყოფ პატიმრებზე.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

სასამართლომ ასევე დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან ერთად, იმ განმცხადებლების მიმართ, რომლებმაც წარადგინეს ეს საჩივარი.

მუხლი 41: 20,000 ევრო (ან უფრო მცირე თანხა, როგორც მოთხოვნილი იყო) მიენიჭა თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისთვის.

(იხ. აგრეთვე პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ, 44973/04, 2011 წლის 10 თებერვალი, სამართლებრივი შეჯამება; ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, 42525/07 და 60800/08, 2012 წლის 10 იანვარი, სამართლებრივი შეჯამება).